



სალიტერატურო და სამეცნიერო ნახაზებიანი ზაფხითი, ზამთრის უსმელ კვირა დღეს.

№ 27.

ივნისი 26, 1894 წ.

№ 27.

ზინარსი: კახეთის რკინის გზის აშენი. — სომეხთა სასკოლო მწარეგელობის ამორჩევა გ. წერეთლისა. — საუკრადღებო აშენი: — დაბა სოფლებადან. — სამურაზაძის აშენი აკაკო ოქუშელისა. — სენატიის აშენი თ. ს. — ვთქვა თუ არა? დავით ქაბისის. — რა იმპროვიზაციისა. — გამუდმებულ ქეთისელისა. — პასუხი გრ. ყუფშიძეს — შინა ცნაკაისი. — ფანჯლი თარხანისა. — ქუდაისის ბანკის განცხადებანი.

დაგულვენი საზოგადოება

კახეთის რკინის გზის აშენი

ი ბ კ ო რ ი (ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს, რომელსაც ძირითადი თანხა 2.500,000 მანეთი აქვს, გარდა სულაღის ფულისა, ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მიიღება ყოველნაირი მოძრაებისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან, აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსალების საქონლის დაზღვევა ცეცხლისაგან. წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომელიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბაჩოანის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, თუ არა თვით საზოგადოების ადვოკატის ალექსანდრე პეტრეს ძის ზევირებისაგან, რომელიც დგას პელიამინოვის ქუჩაზე № 2.



ანეთის რკინის გზის საქმემ როგორც მიიძინა. კარგა ხანია, აღარა ისმის რა მას აქეთ, რაც კილოკავად შევიტყუეთ, რომ ვითომც მთავრობას უარი ეთქვას კახეთის რკინის გზის აგებაზე. ჩვენ ეს რაღაც ნაირად არ ვეწამდ და მართლაც, როგორც უქანასკნელი ცნობებიდან ჩანს საქმე სხვანაირად უნდა იყოს. მთავრობას საფუძველი არა აქვს რა საწინააღმდეგო კახეთის რკინის გზის გაკეთებაზე; ის კი არა, როგორც კახეთის საკეთილდღეო საქმეს, სიამოვნებითაც უნდა მიეგებოს ასეთს აშენებს, თუ კი ვინმე კერძო კაცი, ან საზოგადოება გამოჩნდება, რომელიც იკისრებს თავის ჯიბით ასეთის მძიმე საქმის შესრულებას. მხოლოდ მთავრობა არაღის არ მიცემს თავის გარანტიას, ესე იგი თავდებად არ დადგება, ვინცობაა პირველ წლებში მოგების მაგიერად ამ რკინის გზამ ზარალი მიცა გამკეთებელს. მაგრამ ამ შემთხვევაში არც არის მთავრობის გარანტია საქირა, რადგან უიმისოდაც დაიხედებულნი არიან, რომ ამ რკინის გზის აშენებელი მოგების მეტს ზარალს არ ნახავს. როგორც ჩანს ფულიც ნაშთი უნდა იყოს, რაკი კახეთის

რკინის გზის კამისიამ თითქმის ერთხმად გადაწყვიტა მეორე შემოწმებული „იზისკანიისთვის“ თორმეტაათასი მანეთის გამოაღება. ეს მეორე „იზისკანიე“ უნდა მოახდინოს ინჟინერმა ნიკოლოზ გიორგის ძემ მიხაილოვსკიმ, რომელსაც ეითომც კიდევ ჰყავდეს ფულის მებატრირენი ნაშონი და ამით განზიანება ჰქონდეთ კახეთის რკინის გზის აშენებისა თვით ინჟინერ მიხაილოვსკის ხელმძღვანელობით და ზედმედველობით. აი, პირიპირი ინჟინერ ნ. გ. მისაილოვსკისა: 1, შესამოწმებული მეორე „იზისკანიე“ ელირება თორმეტაათასი მანეთი. 2, თუ სამ მილიონ ნახევარზე მეტი ელირება კახეთის რკინის გზის აშენება, მაშინ ეს ზემოხსენებული ფული ინჟინერ მიხაილოვსკიმ უნდა უკანვე დაბრუნოს, ან როცა საქმეს გაიცნობს, წინათვე უარი თქვას „იზისკანიეზე“; 3, უეტეთ ნაკლები ელიროს, მაშინ რაც ნაკლები ელირება, იმ ფულიდან ერთი პროცენტი მიხაილოვსკის უნდა ერგოს; 4, „იზისკანიეში“ და პროექტები უნდა გაკეთდეს „მისიველ

გზების“ პირველ საზოგადოების მიერ შედგენილი ინსტრუქციისამებრ: 5, თუ ტუილისის სადელო-მამული ბანკის გამოგობა დათანხმდა ამ პირობებზე, მაშინ მეორე „იზისკანიე“ უნდა დაიწოს მიხაილოვსკიმ ამ ივლისის პირველ რიცხვებში. ამასთანავე ამ პირველში უნდა გაუფუჭავოს ბანკმა სპირაისი მანეთი ინჟინერ მიხაილოვსკის. შემდეგ, როცა ინჟინრების პარტია დახედვენ იმ ადგილებს, რომელთაც უნდა გააგონ რკინის გზა, თუ უარი აღარ თქვას იზისკანიეზე, მაშინ ბანკმა ოთხასი თუმანი კიდევ უნდა მიცეს „იზისკანიის“ დაწყებისათავე. ტენიური პროექტების შესადგენათ ბანკმა უნდა მიცეს კიდევ ორას-ორმოცდაათა თუმანი. ბოლოს, როცა მთელი „იზისკანიის“ პროექტი დასრულდება და წარუდგება კახეთის რკინის გზის კამისის, მაშინ დანარჩენი ფულიც უნდა გადაეცეს. ბანკმა უნდა აღიაროს თავის წარამომადგენლები, რომ მით ჰქონდეს ამ „იზისკანიის“ შესახებ დაწერილებითი მიწერა-მოწერა.

სომხეთა სასკოლო მზრუნველების ამორჩევა.

ფილისის მეორმოცე წლებში ნერსე კათალიკოსმა დაახსა სასულიერო სემინარია, საიდანაც უნდა გამოსულიყო განათლებული სომხის სამღვდლოება. ამ სემინარიაში გამოზდილმა სამღვდლოებამ დღი დეწლი გაუწია თავის დროზე სომხობას საეროენო აზრების გავრცელებით. იქ გამოზდილი სომხის საღვდლოებამ გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ გაუწარტული და გადავარებული სომხობა, რომელსაც დღევანდელი ჰქონდა საქართველოში თავისი ენა და ძველი სომხეთის სამშობლოს სიყვარული, გამოეციდებინა, ზენერეა გულში სარწმუნოებასთან ერთად თავისი სამშობლო ენის სიყვარული და სომხეთის ერის ერთობა. ამ საღვდლოებამ ოცდაათის წლის განმავლობაში ძალიან ადგეთა და ფრთები შესახა სომხის ხალხს; ყოველ კვლავსებთან სომხური სკოლები დაპართა, ვაკატარა ამ სკოლებში რამდენიმე თაობა, აალაპარაკა თავისი ერი სამშობლო ენაზე და სარწმუნოების მეოხებით დააუფანა ერთობა, მცა ერს ერთი მიზანი და ეს მიზანი იყო სულიერი განვითარება და ნიეთიერი კეთილ-დღეობა. ამ საქმეში სომხის საღვდლოებამ დაეხმარენ უმაღლეს სასწავლებელში გამოზდილი სომხის ძველი თაობა. ის შეიქნა მისი ხელმძღვანელი და მოთავე.

მაგრამ ნათქვამია ყოველს კეთილს ბოროტიც თან დედესო. აქაც ისე მოხდა. ზემოხსენებული მეთაურები სულ შეძლებული სოფადარების, ექიმების და სხელმწიფო სამსახურში გამდიდრებული კაცების შვილები იყვენ. იმათ დაადინეს შემდეგი პროგრამა: როგორც საღვდლოებამ, ისე ეპკრობას ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა, რომ სომხებს მხოლოდ ერთმანეთისთვის გაეძროთ ხელი, მარტო ერთმანეთს შეუწადენ, ერთმანეთი წინ წაეყენებიათ, თორემ გარეშე მეზობელი თუნდ წყალსაც წაუღიო. აქაც გამოართლდა ჩაღბური ანდაზა: „ღმერთმან ერთი ვით აკურიოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“. მართალია ამ ზემოხსენებულმა პროგრამამ სომხის ეპკრობა გამოიღრა, მაგრამ მიწისმუშაკს და დაბალს მშობილ მელ ხალხს ტუეი გაძრო. ფულის მებატრირენს ყოველთვის ასეთი ჩვეულება აქვს. იმან თავის ფულის სარგებელი უნდა აიღოს და რასაც მეტს აიღებს, ის უეტესია. ამამი იმას სიბოჯალული არა აქვს; ვინც უნდა იკოს, სომეხი, ქართველი, ძმა, თუ მეგობარი, ფულისთვის, ანუ ფულის მებატრირენის სარგებელიც უნდა აიღოს. ასე მოიქცა შეძლებული სომხის ეპკრობა და საღვდლოებაც. აი, ამისთანა მოქმედებას ტაში დაუტარა ძველმა განათლებულმა სომხის თაობამ; ის გაიძინა: — ლარობს რასაც მეტს მიცემ, ისე მეტ პირს აიღებსო“. ამის გამო ამ ეპკრობით გამდიდრებულმა სომხობამ თანასწო-

რად დაუწყო თავის კაპიტალის მეოხებზე კისრზე დაწოლა, როგორც ღარიბ სომხობას, ისე ღარიბ მიწისმომცემ ქართველობასაც. ასეთი თვისებისანი არიან დღევანდელი გამდიდრებული ტფილისის ეპურები და მათი მეთაურები. მაგრამ ამისთანა უწყალო-მოქმედებას მტრულის თვლით შეხედა თვით სომხის ახალთაობამ, დღეს ისინი ჰკიცხავენ თავის მოძმეს, ძველს სომხის მეთაურებს ანგარებაში: თქვენ ხართ სომხებსა და ქართველებს შორის მტრობის ჩამოგდების მიზეზითა. იმათ კარგათ შეიგინეს, რომ ძველმა სომხის მეთაურებმა, მუჯრელობა დაუწყეს ზნე-გაფუქებულ ეპურობას და საღვლელოებას და ამის გამო დაიწყეს მათი წინააღმდეგობა. დღეს ამ ახალგაზღობას იმ ძველი სომხის თაობის არა სწამს-რა. დიდი ხანი, არ არის, რაც ეს ახალგაზღობა გამოვიდა მოქმედების ასპარეზზე, მაგრამ მაინც საკმა-გაფლანა მოიპოვა სომხის ხალხზე. მისმა გულწრფელმა მოქმედებამ სომხის ხალხის წარმატებისა და კეთილმდგომარეობისათვის ერთი დიდი თანაგრძნობა გამოიწვია. ეს სომხის ახალგაზღობა ვერ ურიგდება ევრც ანგარების მოყვარე გამდიდრებულ ეპურობასა, ევრც ზნე-წამხდარს მისს მეთაურებს. ეს ახალი სომხის თაობა აგრეთვე თანასწორი მშური სიყვარულით უყურებს როგორც ვასაწყლბულს ნაწილს სომხის ერთსა, ისე საქართველოს ღარიბს ხალხს. აი, ამ თაობამ განდევნა წელს ძველი მეთაურები

სემინარიის და სკოლების მზრუნველობისაგან, ამოიჩინა მზრუნველებათ ახალგაზღობა განათლებული და ნამდვილი გულშემატკივარი კაცები. ევრც გ. მკვიდრელოცა, ევრც ა. იოანისიანი და ევრც თ. კ. ბებუთოცა ვერ გახედეს მათთან კენჭის ყრა. ამ სახით უფრო განათლებული ახალი თაობის კაცები შეიქმნენ სომხის სკოლების მეთაურებათ და იმედია, ისინი უფრო კარგათ წაიყვანენ ნერსისის სემინარიისა და სხვა სკოლების საქმეს, იმედია ისინი უფრო სიყვარულს და მგობადოებში, დამოკიდებულებას ჩამოაგდებენ ქართველებსა და სომხებს შორის. ახალთაობის წარმომადგენელი ევრონალ-გაზრდები არიან: „მშაკია“, „მურჩი“ და „ტარასი“. ამ რედაქციების მეთაურებს და თანამშრომლებს ჰსურთ ჩვენ ახალთაობას დაუხლოვდნენ, რადან იმათი და ჩვენი ინტერესები ერთი და იგივეა. ჩვენ შიდა განდევნა, როგორც საზოგადოებაში, ისე ბანკების გამგეობაში ისეთი შეძლებული ფულის მეპატრონეები და საკუთარი კეთილმდგომარეობის მეძიებელნი, რომელნიც იმავე ანდაზას გაიძახიან, რასაც სომხის ეპურობა: „ღარიბს რასაც მეტს აძლევ, ისე მეტ პირს აძლესო“. მაშასადამე ჩვენცა და სომხის ახალთაობასაც ერთი და იგივე მიზანი გვაქვს ევრონალმდგომარეობის ხალხის პირმოთენე მოკეთებებს, იმათს გამძირიბებლებს.

ბ. წარუელა

საკუთრადღებია ამბები

დაბა-სოფლებიდან



აქვით მდებარეობს მდ. ჩოლოყის ორთავე მხარეს; მარჯვენა მხარე ითვლება ლეონის საზოგადოებაში, ხოლო გამოღმა ქაქუთი კი ლენაურის საზოგადოებას ეკუთვნის ოპურგეთის მაზრას. ვაღმა ქაქუთი უკანასკნელი ომიანიობის დროს შემოუტრთდა რუსეთს და შედგება 32 კომლი ქართველ მამადიანთაგან. ის არის ოკი ევრსის მანძილზე დამორბეული კინტრომის თემში. გამოღმა ქაქუთში კი მხოლოდ 28 კომლი მართმადიდებელი გურულები ცხოვრობს. ვაღმა ქართველი მამადიანები და გამოღმა მართმადიდებელი ქრისტიანები არიან, მაგრამ ამათ ვერაფერს ვერაჩვენს ერთმანეთისაგან: ევრც ლაპარაკში, ევრც ხაქმა-დახურვაში, ევრც კილოს მიმოხერვაში და ევრაფერში, რომ ვინემ თქვას ესენი მამადიანები არიან და ესენი მართმადიდებელია. ეს ასეც უნდა

ყოფილიყო, რადგან ეს ორი ერთმანეთის მეზობელი მკვიდრი სულ რაღაც ორმოცდა რვა წელიწადია გამამადიანებულან, თვარა მანემდი კი ყველა მართმადიდებელი იყვენ. გვარობით დღესაც ამ გლამა-გამოღმა სოფელში ერთი და იგივე გვარებათ იწოდებიან, მაგალითად, მართმადიდებელიც არის და მამადიანა ქართველებიც მეგრულიძეები, გოსხაი-შვილები, ბერძენები, ქარციანძეები, მკვანაძეები და სხუ...

ამათ სჯულის სხვა-და სხვაობა ვერ ამორებათ და ევრაშორებს ერთმანეთთან მისელა-მოსელას; ქორწილებზე, ტარილში, სთელში, ყანაში, მიხმარებაზე, აღენ-მიცემაში და სხვა დღემდისაც. აქ ისიც უნდა ეთაულისხმოთ, რომ ეს ორი ვაღმა-გამოღმა ქართველ მამადიანთ და მართმადიდებელთ მკვიდარი და შორეულნი არიან თავ თაიანი თსჯულის ხალხზე, როგორც მამადიანები, ისე ქართველები, შედ-შვიდი ევრსის მანძილზე. როგორც ზემოთ ვთქვით, ეს პატარა სოფელი ორივე მხარე ჩოლოყის და ქაქუთის

მედიკოსი არაფრით არ განიხივენიან არც ერთმანეთისაგან და არც საზოგადოთ მთელ გულურღმობისაგან, პირიქით აქაურები მეტად ცოცხალ ბუნებასთან კიდევ სხვა აღმოსავლეთ გურულებზე უფრო მკვირცხელი, უფრო სწრაფი, უფრო ენა მოსწრებული და ნიჭიერი არიან. ამ ქართველ მაჰმადიანებს კარგით ვაგონილი ჰქონდათ, რომ გრიგოლ გურიელი ეწეოდა საზოგადოთ ყველგან სწავლა-განათლების საქმეს, არსებდა სკოლებს, ურიგებდა ბავშვებს წიგნებს, ეწეოდა ეკლესიებს და სხე... არ, ამიტომ ვაბედეს ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ ქართველ მაჰმადიანებმა და თხოვეს გრიგოლ გურიელს, რომ აღმოეჩინა შემწეობა ღარიბი ქაქუთულებისთვის, ეშვა მდგომლა მთავრობასთან სკოლის გახსნაზე და სხე...

წელს გურიაში ძალიან ბევრი აბრეშუმში მოვიდა; მაგრამ ფასი მეტად დაეცა; უწინ რომ ფუთი ოც მანათად ვაღიოდა, დღეს ექვს მანეთსაც აღარავინ იძლევა. ჩვენ ვერ დაივიწყებთ, რომ ქარხნებშიაც ასე დაეცემული იყოს აბრეშუმის ფასი, მიუცილებლად ეს წერილ-ფეხა ჩარჩ-ბაკაციების ბრალი უნდა იყოს. ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ერთს ფაქტს; შარშან ერთს გურიის დაბაში მოვიდა ბერძენი და დაიწყო პარკის ყიდვა, ფუთში იძლეოდა თორმეტ-ცამეტ მანეთს. ჩარჩ-ბაკაციებს უნდადთ ბერძენს კანტრახტი შეკრალენ და თითონე ყვირდათ ნაკლებ ფასში, მაგრამ ბერძენი არ ენლა ჩარჩებს, თითონ უნდოდა აბრეშუმის პარკების ყიდვა... მაგრამ საწყალს ბერძენს ერთ ლამეს ეს ვაყბატონები

შეუტყინდენ სახლში საღამოს და ისევ გაიქცენ. მართალია წალბებით ევრადეერი წაიღეს, მაგრამ ბერძენი მეორე დღესვე წავიდა და აღარც წელს უქნია აქეთ თვალთ. ამ სახით ზემოხსენებულ ჩარჩებმა ხალხს მუშტარი დაუკარგეს. ერთად ერთი ლონისძიებაა დაეაწიოთ თავი ამ გვარ ავაზაკთან და წინ წავაგდოთ ჩვენი ეკონომიური წარმოება:—უთუოთ უნდა შევადგინოთ „გურულთა მწარმოებელთა საზოგადოება“, რომ ჩვენი ნაწარმოები და ნაოფლარი პირდაპირ იქ იყიდებოდეს, სადაც ნამდელი ფასი აქეს.

მუჰაღურე

* *

იმედი მაქვს, თქვენი გაზეთის საშუალებით შეძლება მომეცემა განეაქცადო, რომ ჩემდა და უკითხვად და ნება დადურთველად არც ერთი თხზულება ჩემი ძმისწულის, განსვენებულის ეცნატე ინგოროყესა (ნინოშვილის), არ გამოიყენეს. მეტად სასურველია აგრეთვე გავიგო, თუ რა უფლებით გამოიყენა წიგნების გამოცემულ ქართველთა ამხანაგობას განსვენებულის ამოსე მწერალი? იმედა, მოკლე ხანში ჯეროვანს პასუხს მივიღებ ამ ამხანაგობისაგან. უმოჩინლესად ეთხოვ ადგილობრივ გამოცემათა რედაქციებს, ადელი მიცენ ამ მცირე განცხადებას.

ალექს. ინგოროყე

სოფ ჩოქიათ
8 აგვისო 1894 წელს.

სამურზაყანოს ამბები

წამურზაყანო, მოგესხენებათ, მოშორებულთა საქართველოს თითქმის ყოველ მხრით. თუ მცა სამურზაყანო ბუნებისაგან ძლიერ დაჯილდოებულია, მაგრამ რას აკეთებს,—რომ თვით მცხოვრებნი მუდამ ღარიბნი არიან, როგორც ბუნებრივად, აგრეთვე ნივთიერად: ბ-ნი ე. იოსელიანის წერილი „შოაშის“ პირველ №-ში, თუმცა სამართლიანია შესახებ იმერეთ-გურია-ქართლ-კახეთზე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ხსენებული წერილი ეგრ აიტანს სამართლიან კრიტიკას სამურზაყანოს შესახებ და საზოგადოდ სოხუმის ოლქზე. არა ერთხელ მინახავს კაცი, რომელიც ცხოვრობს თითქმის ტყეში და გაიძახის: „შეშა არ მაქცია“ და მთელ ზამთარში სიცოცხე აწუხებს. ზამთარში სოფლები არაფერს აკე-

თებენ,—უბრალო ფაცხასაც არ გააკეთებენ საქონლისათვის, რომ თავიანთი საღვამი განათავისუფლონ მის მიწებლობისაგან. საქონლის მოვლა ხომ სულ არ იციან და ვაზაფხულობით თითქმის ნახევარი ეხოცებათ. თავადები სულ წყალ-წლებულნი არიან. ეინემ მათგანმა რომ საქმეს ბეჯითად მოკიდოს ხელი და თავის მამულის საქმე კარგად წაიყვანოს,—ეს საზღაპროდ ვახდება. წარმოიდგინეთ, თითოეულ მათგანს აქვს არა ნაკლებ ას სამოცი და 200 ქვეშ მიწა და თითქმის მშვიერ-მწყურვალნი არიან. როდესაც რომელიმე გაზეთში ამოვიკითხავ, ამა-და-ამ ადგილას წიგნთ-საცავი იხსნება, იქ რკინის-გზა გადის, იქ გზა-ტყეცილი, იქ სხვა-და-სხვა ამხანაგობა არსდება, აქ კანკები... გული მიცედება. აქ ი ტყე ილად ხეტალია და მუდამ უგუნურება. ერთი მარს რამე მენახა სოხუმის ოლქში, რომ ყურადღებო

ღობის ყოფილიყოს. სად არის ჩვენთვის ან მოძღვა-
რი, ან მასწავლებელი, ან სასწავლებლები, ან დარ-
ბისილი თვადები. სამურძიანო, თუმცა იგივე სა-
ქართველოა, როგორც სამეგრელო, მაგრამ ეს ადგი-
ლი ჩამორჩენია უკან თავის დაუდევრობით და სხეი-
საგან დაუხმარებელი უკანასკნელ დამუშავებულ
სხვათა შორის ზოგიერთი ჩვეულებით. ჩვეულება
აქ, როგორც სწავანაც, ბევრ ნაირია:—სამლოცვე-
ლო, საოჯახო, საქორწინო და სხვა. მათ შორის
პირველი ადგილი დათმობათ სამლოცველო ჩვეუ-
ლებებს, რომლებიც თავის მართი იქნება აგრეთვე
ბევრნაირია:—საღობროთა (საღმერთა), ჭინი (ზევა)
ოქავილი (საშველო) ციმპაშვი (მარწყვის ლო-
ცვა), ყუყუ და სხვა. მე მინდა ზეგანობით მკით-
ხელებს გავაცნო, თუ როგორ სრულდება უკანას-
კნელი ლოცვა, ე. ი. ყუყუ, რომელიც იციან თე-
დორობის კვირის მეორე დღეს, ეს ლოცვა,
უნდა მოახსენოთ, თავის დანიშნულებით, მოსაწო-
ნია. ამ ლოცვას ასრულებს მართა ერთი გვარი,
ლატუცხელი, რომელიც შედგება არა ნაკლებ 60
მოსახლისა. შავითა პაპა გადმოსახლებულა ძველით
ქვემო ოდიშიდან, რომელსაც ჰქმევია სახელია ქე-
რეკი. მიხვნი მისი გადმოსახლებისა ყოვილა კაცის
კლა და ამის გამო იძულებული გახდარა გადმო-
ხიზნებულიყო ჩვენსკენ. ის თურმე მიენდო შერვა-
შიძეს ზედიაში, სადაც უახლო ტაძრის ნანგრევია, მოი-
ყვანა ცოლი და დასახლდა თავის ბატონთან. ის
ლომში აწაფარი ყოვილა და ამიტომ შეგვაშიძეს
აქც იხე ჩაურეცხავს. რადესაც უყოლია „შვი უი, სა-
ხელად კოჩი, ბატონთან რაღაც უკმაყოფილება მო-
სულია და იმას გაუროზგავს, რაც თურმე გაგლებე-
ბას ნიშნავდა. ქერეკიმ გულ-მოსულმა დატოვა თა-
ვის ცოლშვილი და გაიქცა ისევე ოდიშიში. შერვა-
შიძემ სახლიდან გამოავლო ქერეკის ცოლ-შვილი,
რომელიც დასახლდა ოკუქში, ქერეკი და კოჩისაგან,
როგორც ზემოთა ვთქვი, 60-მდე მოსახლად,—ლო-
სებით—გლენი წინეთ მამქადანივი ყოვილან, ახ-
ლა კი მართლ-მადიდებელი ქრისტიანებია, ერთხელ
თურმე კოჩი წასულა სანადიროთ აფხაზეთში და გზა-
ში უწახავს უზარმაზარი ციხე, სადაც ყოვილა ერთი
შესანიშნავი ხატი. ის. ჩასაკირელია, ვერ იცნობდა,
თუ რა ხატი იყო, ან რით იყო გაწყობილი, მხო-
ლოდ უწახავს, რომ ხატის გარშემო რაღაც ბრტყეი-
ალებდა. ალბათ ეს ძვირფასი თვლები იქნებოდა.
მას მორეგია ცნობის-მოყვარეობა, და შესულა ცი-
ხეში ამ ხატის გასაშირჯათ. უნდა გვახსოვდეს, რომ
ის მაშინ მამქაღანი ყოვილა. დაბრუნებულია თუ
არა შინ, სახლობისათვის უთქვამს ეს ამბავი და გა-
დაუწყებიათ იმ ხატის მოპარვა. უთქვამს თუ არა

სიტყვა „მოვიპართო“, მაშინვე დაცემულა და
აეთ გახდარა. ერთ კვირაში ისე დასივებულა, რომ
კამეჩი გვეგონებოდა და ბოლოს მოშკედა. ამ ხა-
ტის გულის მოსაბრუნებლათ, მათ მაშინვე დაუდ-
გენიათ ლოცვა ყუყუ. თუმცა ამ ლოცვის ნამდვილი
სახელი არის „ჯინაში ხატი (ციხის ხატი), მაგრამ
მეტ სახელად დაურქმევიათ ყუყუ, რადგანაც ვისაც
აწებდა ეს ხატი, იმას აყიყინებდა—ასივებდა. უმთა-
ერესი მიზანი ამ ლოცვისა მდგომარეობს იმაში,
რომ ეს იყო დაღვნილი ქურდობის წინააღმდეგ. ამ
გვარეულობას მტკიცედ სწამდა, რომ თუ ვინმე მა-
თვანი მოიპარავდა თუენდა ნემსს, მაშინვე გასივდ-
ებოდა და მოკვდებოდა. ჩამდენადაც მართალი იყო
ამ ხატის ძლიერება, ის არ ეციო, მხოლოდ ის კი
ეციო, რომ ამ რწმენას ციხის ხატისადმი, ძალიან
სარგებლობა მოჰქონდა ლატუცხაიებისათვის. ამ უკა-
ნასკნელ დრომდის თითქმის სხვა გვარეულობაც რი-
ლით იხსენიება ამ ხატს და ვერ ბედავდა ქურდო-
ბას.


თეთი ლოცვა სრულდებოდა ამ გვარად. მიე-
ლი ოჯახობა შეიკრიბებოდა ერთს წმინდა ადგილას.
აქ მოიტანდნენ ფეტვის, ღობის და სიმინდის ფეკილს
ბლომით. დილიდან დაწყებული საღამომდის ხარ-
შედნენ პატარ-პატარა ხოხებს, დამრგავლებულ ცომას,
რომელიც შედგებოდა ერთმანეთში არეული ფეტვის,
ღობის და სიმინდის ფეკილისაგან. ერთ რომელსამე
ხოხოში გაარქობდნენ პატარა ჩხირს,—ეს იმას ნიშ-
ნავდა რომ, ვისაც შეხედებოდა ეს ჩხირიანი ხოხო,
მას ძალიან წვეულება უნდა გაემართა ნაღვლომეგს.
გარდა ამისა აცხობდნენ ერთ უზარმაზარ მჭადს;—ერთ
დიდ ქვაში ჩასაშადნენ წყალს და ჩამოიკიდდნენ ცე-
ცხობზე; იმაში ჩაყრიდნენ ორ გობ ფეკილს და ურე-
დენ, როგორც ღობს; ბოლოს ჩამოდგამდნენ ძირს
და ზელდნ მთელ დღეს;—თეთითაველ მათვანს, რო-
გორც დიდს, აგრეთვე პატარას ჩამოდენსამე ხანს
უნდა წვლათ ეს ცომა, საღამო კამს დააცხობდნენ
დაღარზე ფრთხილად, თუ ვინცოცაა, მჭადი ცრატე-
თი დაზიანებული გამოვიდოდა, მაშინ ის ნიშნავდა
იმას, რომ ერთი ვინმე მათვანი მოკვდებოდა ერთი
წლის განმავლობაში. საყუო ლენოა ცალკე ჭურში
ქქონდთ შეახული. იმ დღეს მჭადსა და ხოხოს მეტს
არასფერს ხმარობენ საქმელად. საღამოს დაიწყებოდა
ლოცვა, რომელსაც ასრულებდა ერთი ვინმე მათვა-
ნი, ცნობილი თავის მჭერ-მეტყელობით და მსკო-
ნანობით. სახელოვანი ამგვარ შემთხვევაში ყოფი-
ლან ხალხის თქმულობით ორი კაცი: მკეკა და ლე-
მათი. რაც ხოხო იყო, ყველას დაწყობდნენ დიდს
სუფრავზე და ერთ ჯამს ლენოს დადგამდნენ. ბრბო
ცალ ფეხზე დაჩოქილი პირს იზამდა დასაველითსკენ,

რაღანაც მამადიანნი იყენ. (ახლა კი აღმოსავლელ თისკენ იზამენ პირს.) თითოეულ მათგანს ეჭრათ ხელში თავლის სანთელი. უფროსი მლოცველი წადგებოდა წინ, აიღებდა სასვე ჯამს და იტყოდა: „აბანჰა ხანჰახანუ“ (ფხვანური სიტყვაა, ქართულად: „მოაჩივე შენი ლოცვა-კურთხევა ციხის-ხატო ჩვენს გეარს და შთამომავლობასა“. ბოლოს ადგებოდნენ და დაიწყებდნენ სმა-ჭამას, — ლენის დაღვევას არ უშლიდა ყვეც: აქ ესწრებოდნენ თავადები, გლეხები, რომელნიც ჭამა-სმაში არა ნაკლებ მონაწილეობას იღებდნენ. როცა ცოტა მოღონიერდებოდნენ ლენითა, ადგებოდნენ და უელიდნენ თავიანთ სანლებს გარეშე-მთა აღდგომის ღვთისმსახურთა და ამბობდნენ ამ სიტყვებს სიმღერით: „ატლები ჩოვა, ჩოვა, ჩოვა.“

მთელი ღამე ათენებდნენ და ამგვარად თავდებოდნენ ყვეს ლოცვა. ახლაც ამგვარად იხდინ ამ ლოცვას, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ცალ-ცალკე თითოეული მოსახლე თავის სახლში ასრულებს მას და, ჩასაკვირელია, რომ ისეთი, როგორც ძველი ამბავი, არ დატრიალდება. ლოცვას შემდეგ შვერთ-დებიან და ბურთაობა იცაან ხალხი. აგრეთვე ხალხი ამბობს, რომ ციხის-ხატის დღეობაზე უსახურო წვიმა იქნება. წარმოიდგინეთ, რომ ეს ხუთი წელიწადი, რაც მათი სიტყვა სრულდება. წრეულაც წვიმამ მოზურთაყვეს ხელი შეუშალა.

აგო ოქემულო

2 მასს დ. ოქემი



სვანეთის ამბები



ესამოც წლებში რომ დავეთვლიერებთ სვანეთის რომელიმე ეკლესია, ნახავდით კუთხეში დადგმულ საწიფუნს, რომელზედაც ბლომათ ეწყო ტყავზე დაწერილი სხვა-დასხვა საძმართო-წერილის წიგნები. ბევრი ამათვანი ყდაში იყო ჩასმული, ცრია უყდონი. ზოგიერთი ეს წიგნები ნახული და აწერილიც აქეთ განსვენებულ არხელოვანებს ბარტოლომეისა და დიმ. ბაქრაძეს. დღეს რომ ამავე ეკლესიაში შებრძანდეთ, საწიფუნებს ცარიელს ნახათ; მანუსკრიპტები, ხალხისაგან კარგად დაცული, შემდეგ საძღველოების დანიშნისა სვანეთში სადღაც გამქრალა! ახლა მართა თითო ორ-ოლა დაგლეჯილი ფურცლები-და ჰყრა ეკლესიის გზა-საკაღებოში, გარეული მტერისა და ნაგებში. სად გაქონენ სვანეთის ეკლესიების მანუსკრიპტები?

ეჭვი არაა, რომ ისინი გატანილნი არიან აქ გამოძწესებულ სამღვდლოებისაგან და სვანეთისათვის საუკუნოდ დაკარგულნი. არც იმაში ეჭვი, რომ გამოძეანი იქნებოდნენ აგრეთვე სვანეთში მოსამსახურე პირებიცა.

ამისი მაგალითებიც ვიკით. ამ ჭამათ ს. პ. სამეცნიერო აკადემიაში ინახებიან ორი მანუსკრიპტი სვანეთიდან წაღებული. პირველი აწერილია საჩივარი და განჩინება, ერთი მხრით სვანებისა და მეორე მხრით საჯეელ ჯაფარიძეებს და მეფე ალექსანდრეს შორის ჯაფარიძის მოკვლის თაობაზე და იქვე მოყვანილი რაოდენობა სისხლისა, რომელიც სვანებს გადახდათ მკვლელობისათვის; ბაქრაძის სიტყვით ეკუთვნის XV საუკუნეს; მეორე მანუსკრი-

პტი აწერილია სხვა-დასხვა აღაპები, პირველი იმათანი გადუცია ბრისესთვის დეკ. ქუთათელაძეს, რომელიც თავდაპირველი ბლაღოჩინი ყოფილა სვანეთისა, ხოლო მეორე დიმ. ბაქრაძისათვის სვანეთისავე ყოფილს პრისტავს მამაკაშვილს. ტფილისის სემენარის ბიბლიოთეკაში დაცულია დიდი მანუსკრიპტი, რომელსაც განსვენებული დიმ. ბაქრაძე თავის „საქართველოს ისტორიაში“ იხსენიებს და რომელიც აქედან წაუღიათ საქართველოს ექსპროსად ნამყოფის განსვენებულის ისიდორეს დროს, ანუ უკეთ თვითონ განსვენებულის ექსპროსისთვის მოუტანათ. ჩვენი ფაქრით, ეს მანუსკრიპტიც დეკ. ქუთათელაძის წაღებული უნდა იყოს. ამავე დეკნოზში შვილს დღემდის აქვს შენახულა რამოდენიმე პერამენტზე დაწერილი წიგნები სვანეთიდანვე წაღებული. ცხადია, ამ უკანასკნელს მამის დანატოვარი აქვს და არა სხვა გზით ნაშოვარი. სვანეთიდან წაღებული ერთი შეკრული სახარება გელათის მონასტერშია შენახული. აი, მარტო ზემოთ ჩამოთვლილ მანუსკრიპტებზე გვაქვს ჩვენ ცნობა, დიდი ნაწილი სვანეთის ეკლესიების მანუსკრიპტებისა კი ისე მიმოხვეწულა ან დაკარგულა, რომ მათი არაფერი ვიცით. მოვიყვან ერთს მაგალითს: 1853 წ. არხეოლოლს ბარტოლომეის, იფარის წმ. გიორგის ეკლესიაში უნახავს ტყავზე დაწერილი სახარება. თავის „Поѣздка въ Вольную Сванетию“ ში სწერს: „Деканозы (პაპები) ипарскаго общества показали мнѣ пергаментное Евангеліе хунгаріи, опавшее въ серебро“ ... ბევრი ეკითხებ ადგილობრივ ამ სახარების შესახებ, მაგრამ მისი ასევე დასავალი ეცრას გზით ვერ გავიგე. სამწუხაროდ

ამ გვარი მანუსკრიპტები არა მარტო ერთი და ათი აღმოჩნდება დაკარგულათ და არც საკვირველია, რადგან იმათ თვალ-ყურის მკერელი და მათი მნიშვნელობის მკოდნე-დამფასებელი არაიენ აღმოჩენიან უბედურს სენაეთს. სასურველია, რომ რაც კიდევ გადარჩენიან ამ დაკარგვას, ის მაინც შერჩეს

სენაეთის ეკლესიებს. ასეთი არიან მაგ. მანუსკრიპტები უშგულოსს, აღიძისა, მესტიის, ლენჯორის, ლატალის და ლაფი-წყლას. თუ ახლადე არ იქნა ყურადღება მიქცეული, ამათაც ის მოკლისთ, რაც სხვა მანუსკრიპტებს მოუვიდათ.

20 მაისი 1894 წ.

ა. ს.

ვთქვა თუ არა?

გვეული სედა როს გამიხსენებს, წარმოიყენებს გარემოებას, ცეხლშივან მაგდებს, მტანჯავს მაწვალებს, ევლარ ეიშორებს ამ წწარე სნებას. ჩემ გარეშემო ყოველი ხარობს და მისცივან დლიურ განტრომას; მე კი მათშივე გაჩუმებულსა ახალ მაგდებენ და არ მცემენ ხმას. სულელად მრაცხვენ, თუ ძმურად ეისმე ეამზილე მისი დაბნევა გზისა და ნაგულწრფელებს სცილს აყრიან, ოდეს ვერ ჰხედვენ თქმულს გამოცილილს. თუ ვთქვი მე რამე: გიგი ეიქმენი თუ არა, მარად დამუნჯებული, მაშინ როდესაც ქვეყნით ეიგვებით მტრობით და შურით ჩვენ დაწვეული. გიგი მიძახონ, ეიტყვი რასაც, რომ თვისი სიწრფელით გული გადასტრის, და მხურელებით მოძმის თანგრძობით გულის სიწრფელს გონება ვასჯის.

ნურის ჰგონია ორპირობით ვთქვა, მე გოჯონეთურ ცეხლში დავიწვა, თუნდა ხელადე ვგარზუდაც მაქვან, გულზე დამედვას დიდი ლოდი ქვა.. დღევანდელს ყოუნას არყოდა მიჯობს „ან ეიქმენე, ან არ!“ ჰა, ჩემი მცენვა, და ამის გამო მთელი არსება ჩემი სიმართლეს ემსახურება. რათ მინდა ფული, ანუ დიდება, გაუზომელი დიდი ცხოვრება, თუ რომ კაცური ჩემი ღირსება ძირს დაეცემა, გამიწვილდება. მოკედეს ის კაცი, თნც ორპირობდეს, თვალებს ვეიბამდეს გარეგნობითა და გულ-მუცელი გაესილი ჰქონდეს გოჯო-გველ-ვეშა-ბაყაყებითა. კაცურს ღირსებას მუხლსა მოუედრეკ, თაე-მდაბლობითა ვეთაყენები; მაგრამ მედიღურთ ქვეყნის ორკულთა, როგორც უხადი სნება, შეეხედები..

ქაიხარო იამზინდელი

ღ. მანჭავი

გ ა მ უ ლ ა ვ ნ ე ბ ა

გამოვედი თუ არა ქალაქში, მაშინვე აკაკის-თან წავედი. მითხრეს: „უფი იღობო და წესისა“. მიველ, ენახე და მეყინა: ჩვეულე-ბრიე ხსიათზე ვერ დამიხვდა. არ ვიცი, რა აწუხებდა: უფი, გული, თუ უფრო სულ სხვა რამე საკონებელი? მაგრამ ის კი ცხადი იყო, რომ გუნებაზე არ იყო და საუბარს ერიდებოდა. — დიდი ხნის უნახავი მე სულ სხვა გუნებაზე მივედი მასთან, რომ მუსაიფთი გული მეგვარება და როცა იმედ გამიცრულდა, შეეწუსი. ეს მანაც შემატყო, თვის ძალა დატანა და დანაწყო ლაპარაკი. ნელ-ნელა თანდათან უბრუნდებოდა გული საუბრის დროს და ბოლოს ისე შეტანა რომ ჩვეულებრივის ნაღლიანის კილოთი ხუმრობაც

დაიწყო. მეც ეს მინდოდა, ვისარგებლე ამით და ბერი რამ გამოეკითხე ჩემი დღევანდელ აე-კარგია-ნობის შესახებ. ზოგიერთი მათგანი მინდა, რომ მკინთხეილსაც გაეუზიარო: „რას იტყვი წრევანდელ არევენებზე? მინდა გვიგოა შენი შეხედულობა!“ შეეაბარე სიტყვა. — მე?.. მე რას ვიტყვი?.. სრულიად არაფერს! — მიპასუხა ცივად — „ხანდახან არის ხოლმე მისთანა მოჯადოებუი დრო, როდესაც ლაპარაკი მოუბერხებელია... თითქოს სახადმა დაუარა ხალხსო, ყველა სიტყე ნაკრავია და რაც უნდა დაუმტკიცო, ის მაინც თავისას გაიძახის! რაც უნდა რამ თეალოწინ დაუყნო, ის მაინც თავისებურად ხედავს. — ტყუილია ყოველი-ფერი, სანამდ სენი არ გადაკვთის.. — კი, მაგრამ მე მინდა, რომ შენი უზრი გავი-

გო. აქ ხომ სხვა არეინ არის? მე ვარ და შენ!

— მართალი არის, მაგრამ მე მინაც გუნებაზე არა ვარ!.. დღეს მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ!.. აი, შენი შემოსვლის წინეთ მე ერთი აღრინდელი ამბავი მომაგონდა და იმაზე ვფიქრობდი.

— რა?

— ჭიდაობა დიდებუნი!.. გამოჩენილს და სახელგანთქმულ ფალავანს ერთმა ვილაც ახალგაზდა მოკიდავმ გაუთხდა ვაპირდაპირება. დიდ-ძალი ხალხი მოაწყდა დიდებეს. გააკეთეს წრე. ცნობილი ფალავანი გამოვიდა მოედანზე, მედიდურად დაუარა დველური ხალხის წინ, შეჩერდა შუა ადგილზე და დაიწყო აქეთ-იქით თვალიერება. — მისმა ჯამბაზურმა, მისხა-მისხამ მაყურებელი გაიტაცა და ტაში დაჭკრეს. არ გაუთვლია რამოდენსამე წამს, რომ ერთ მხარეს ხალხი გაიპო და გამოვიარდა მოედანზე ახალგაზდა მოკიდავეც. ერთი შეიკუნტრუშა რალაც ნაირად და სულწასული მივიარე — ზედ ფალავანს. ფალავანიც გაუხტა ვანზე გამოუცდელ მოკიდავეს და ამ საბრალომაც ჰაერს მოუბლაუტა ხელები. — ხალხს სიცილი წასქდა. — შერსება მოკიდავეს და უფრო გაქარდა; ფალავანი კი ეშმაკურად ხან მარჯვნივ უხსტებოდა და ხან მარცხნივ. — უნდოდა რომ ხელმოუციდებოდა დაეალა საბრალო გამოუცდელი მოკიდავე, რომემოდაც ხერხი არა იცოდა რა და მხოლოდ ღონის იმედ ჰქოდა!.. ძველი ფალავანი კი სულ ხერხათ იყო გადატყუული! ამბობდენ, რომ ხანდახან ერბოსაც კი ისევას ტანზე, რომ მოპირდაპირეს ხელი აუტურდესო. ხალხი ორად იყო გაყოფილი. ორივეს თავიანთი მომხრეები ჰყავდა და საოცარი კივიის ცემა იყო ხან იქითა და ხან აქეთ. ბოლოს ფალავანი ეძგერა მოკიდავეს. მაგრამ ბევრი ეგრა გააწყო რა: ნახა, რომ ღონით საეყ იყო, ახალგაზდა, რომელმაც, რალაი კი ხელი ჩაავლი მოსწურა ფალავანი. — განთქმულმა ფალავანმა, რომ ველარა გააწყო რა, ანიშნა მომხრეებს და ისინიც მიეშველენ, მიციენდენ და შეელები დაუწყეს. მიხეზათ ის გამოიგონეს, რომ რახა დიხა და ხელი აღარსად ეკიდებოდა. — ხელმეორედ მიუშვეს ერთმანეთზე მოკიდავენი. — ფალავანი ცილობდა, რომ ხელში არ ჩაეარდნოდა მეტოქეს და ისე ხერხით როგორც წაექცია. მისი მომხრეებიც ამ აზრისა იყვენ და უსაფუძვლო კივიისა სცემდენ, რომ გამოუცდელი შეეშინებიათ როგორც... ახალგაზდას მომხრეებმა ევლარ აიტანეს ანდენი უსამართლოება და მიციენდენ... ატყდა ერთი ალიაქოთი, ჩხუბი, აყალ-მაყალი და დაეიდარაბა. — ამით ისარგებლეს ჯიბვირებმა, დაუარეს პირადლებულ მაყურებლებს და რაც კი რამ ებდათ, უბადან ამოაცალეს. — ყველაზე უარესი სა-

ქმე მოუვიდა ერთ ქართველ მაყურებელს: შიშისა ხელი და ნახა, რომ ცალი ჯიბე აღარ აქვს. მოუჭრიათ!.. აღრიალდა და მიჰმართა ხელ-ჯოხიანებს: „მიშველეთ, კინტობებმა გამეჭურდესო!“ იმათაც მარად მოაწვიეს, რომ ყოლიჯერი დაწვრილებით გამოეკითხათ, ჩაიყენეს შუაში, ხან ის ჰკითხეს, ხან ეს და ბოლოს დამედეგული გაისტუმრეს შინსიკენ: „ჩვენი გიპოვიოთ!“.. საბრალო ქართველი შინ რომ დაბრუნდა, ნახა, რომ მეორე ჯიბეც არ კი მოუჭრიათ!.. „შამოიკრა თავი ხელი, მაგრამ რალას მეწვოდა?.. „ეიო ცალ-შვილო დალუპულიოო!“ — თქვა: — რა ეშმაკი მიმარბეინებდა იმ საქიდაოხედო? — ახლაც კი ეიცი, რომ ის ჭიდაობა ჩემი ჯიბეების დასაქრელად ყოფილა გამოგონებულიო!“

— ეგ ამბავი მეც გამოგონია!.. მაშინ ასე ამბობდენ, რომ ისინი ორივე ვითომც შენ დაგეტუბიოს და არეულობის მიზეზიც შენ ყოფილიყო!.. მართალია?

— შენგან არ მივირს?!

— მაშ ეინ დაჰყარა უსაფუძვლოდ ხმა?

— ჯიბვირებმა! — იცოდენ, რომ მე მათი განძახება ეიცადი, მათი ჯიბვირება ეერ გამომეპირებოდა და განძახა, რომ სიტყვა ბანზე გაეგდოთ, ჩემზე დაიწყეს ყვირება: „ესულ მაგის ბრალიოო!“

— მერე? მერე?

— მერე რალა?!.. პირლია გეჩაეებმა და-ჯერეს. მე დაიწყეს ყურება და იმ დროს კი იმ საწყლებს ჯიბვირები ჰქარცევენ!..

— რატომ არ ამხილენ? არა უთხარი რა?..

— ბევრი ეიძახე, მაგრამ იმ ხრიალში ეინდა რას გაიგონებდა? გადაეკენი ხელი, სიცილი დეოწყე და წამოვედი ჩემთვის!..

— ენტავი ეგ სიცილი კი არ იცოდენ!.. როგორ იქნება ავზე და კარგზე სულ სიცილი?..

— სიცილიც არის და სიცილიც.

— მართალია, მაგრამ ვანა ყველას კი შეუძლია, მისი სხვა-და-სხვა ფერობის გარჩევა? — აი, ახლაც ბევრს უყვირს თქვენი სიხუმე და სიცილი!..

— რა სიცილი? რა სიხუმე?

— ის, რომ ზოგიერთი მწერლები პირდაპირ გასახებლებენ, გლანძღავენ, ეინ მოსთვლის, რას არ გეძახიან და თქვენ კი იციანთ, თითქოს კიდევ გეძახიანო!..

— მართლაც, რომ არა მწყინს... ჩემი ლოცვა და ჩემი სურვილი ყოველთვის ის იყო, რომ მე კი კარგი ეყოფილიყო და სხვა ყოველი სული ქართველი კი ჩემზე უკეთესი. დღეს ეხედავ, რომ მწერნი ბენ... მაშასადამე, ცხადია, ისინი ამაღლებულან იმდენზე, რომ თითქმის ევლარა მხედენ!.. და ერსკეინენ



პეშინი შავი ზღვის ნაპირად. (აივანოვის მხატვრობა)

ბათ კიდევაც ჩემი არსებობა! ვა! ვა! ვა!.. ღმერთო შენით!.. სწორეთ ამისთანა ამაღლებული გმირები გვეპირებება ჩვენ...

— ამაღლებული გმირები და არა ბაღლები!.. განა არ იცი, რა რჯულის მწერლები გვცემენ კვირისა და წუნსა გდებენ... ახალგამოსულები და ჯერ ყველასათვის უწინარები.

— ეგ კიდევ უცეთესი!.. რა ეუყოთ, რომ ჯერ მწერლობაში ახალ-კონები არიან? ალბათ იმედი აქვთ მომავლის!..

— ჯერ მომავალი შორს არის და მანამდე მათი კანდიდებუ კი თავხედობაა და თქვენ რათ მკაცრ შეინდობის თვალთი უყურებთ?—არ ვიცი!..

— ზოგიერთი ბავშვა, ენას ამოიდგამს თუ არა, მაშინათვე მოპყვება უწმარუბებს. მიუბრუნდება უფროსებს და ლანძღავს: „ბლიყო“, „კულელი“, „ბიჭო“, „მამა-ძალო“, „დედა-ძალო“ და სხვანი. ამ გვარბავშვების საქციელი და ტიტონი, რასაკირრეელია, გარეშებებს არავის მოეწონება და არც მოსაწონია, მაგრამ შინაურებს კი არა ჰყენით... მშობლები ხშირად კიდევ იციან ბაღლის სიტყვებზე და უხარიათ მისი მკეთილ გამოთქმული უწმარურო. ერთხელ მეც შეგებდი ამისთანა მშობლებს და რომ უსაყვედურე: „რათ აძლიეთ ნებას, მაგით ხომ აფუჭებთ მაგ ბავშს და რა ვიხარია-თქო?“ აი, რა მიპასუხებს: „არა უშავს რა, გენაცვა!.. ჩვენ ის გვახარებს, მუნჯი არ გამოვიდგას!.. დეე, იუწმარუროს, რარჯიშოს სიტყვა-პასუხი!.. მაგით არა დაუშავდება რა!—ჯერ ბრძიყია, სულელი ბაღლი და როდესაც გაიზრდება და ღვთის მადლით გონებაში ჩახდება, მაშინ მოიშლის ღვეანდელ სიტყვა-პასუხს და რიგინას და საკადრის ფერს მისცემსო თავის შეგნებულ საუბარსაო.“ —, რომ ევლარ მოიშალოს-მეთქი“. —უი, ღმერთმა ნუ ქნას!— მომაცხებს— მაშინ უთუოდ ბუნებითად უფარგის იქნება და რაღა გავწყობაო?.. გლახკი იქნება და გლახისაგან ეის რათ უნდა რამე ეწყონოსო?..." ეს მათი პასუხი გულში ჩამრჩა მაშინ და მას შემდეგ მეც იმათი თვალთ

ეუყურებ მლანძღველ მწერლებს და ვიციანი...

— თუ ახალგაზდა ილიანძღვა, იმედი!; გასწორდება!.. თუ ხანში შესული—საპასუხოდ არ ღირსო!.. მმ... კარგია თქვენმა მხემ!—მამე გრე თუ თაე მივანებეთ მაშინ ხომ სამწერლო ასპარეზი ბაზანანად გადაიქცევა?

— ეგ უნდა ჭირისუფლებს მოპყთხობთ და არა იმ ბავშვებს და ბეჩავ-ღიდეებს.—რედატორი მიტომ არის, რომ თვალ-ყური დაიჭიროს და თავის ყურნალ-გაზეთის ფურცლებზე უმეცრები არ აფარფაშოს.

